განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მშენებლობის მენეჯმენტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

12/09/2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის ბაკალავრი - 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 13 დეკემბრის #281 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ბარათაშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მოსემღვდლისშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მშენებლობის მენეჯმენტის პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ შეინარჩუნონ და განივითარონ საგანმანათლებლო პროგრამით მღებული ცოდნა და უპასუხონ დარგის უახლეს გამოწვევებს. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს (8 სემესტრი) და მოიცავს 240 (ECTS) კრედიტს, რაც გადანაწილებულია შემდეგი სტრუქტურით:

- ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს - 60 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს 170 კრედიტი;
- თავისუფალ კომპონენტენს: არანაკლებ 10 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურა აგებულია უცხოური ანალოგიებისა და ადგილობრივი გამოცდილების საფუძველზე. კერძოდ, პროგრამის სტრუქტურის განსაზღვრისას გათვალისწინებულია ანალოგიური პროგრამების განხორციელების ამერიკული და ევროპული მდიდარი გამოცდილება (არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიონისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინდიანას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიუკასტლის უნივერსიტეტი, ბირმინგემის უნივერსიტეტი, კარლსრუეს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი და ა.შ).

პროგრამის ფარგლებში სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია ადექვატური შეფასების ფორმები და მეთოდები, შესაბამისად შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რომლებიც თავის მხრივ დეტალურად არის გაწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 43 აფილირებული აკადემიური და 6 მოწვეული პერსონალი. პროგრამის სავალდებულო კურსები იკითხება აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ. პროგრამა ფუნქციონირებს 2014 წლიდან და მასზე დღემდე ჩარიცხულია 78 სტუდენტი. პროგრამის სტუდენტების გარკვეული ნაწილი დასაქმებულია პროფილის მიხედვით. პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერს ქართული სამშენებლო კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი და პროფესიული სამშენებლო ასოციაციები.

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, კერძოდ ფაკულტეტს სადაც ხორციელდება აღნიშნული პროგრამა გააჩნია შესაბამისი ლაბორატორიები, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მ.წ. 12 სექტემბერს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (ხარისხის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი), პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასწავლო ელექტრონული პორტალი. პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, იბეჭდება მათი ნაშრომები, ჩართულები არიან სხვადასხვა ტიპის კურიკულუმის გარე აქტივობებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მშნებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სადაც 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.2 და 2.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია დაწესებულებამ პროგრამაში მითითებული კვალიფიკაცია მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;
  - რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ,,სტატისტიკის საფუძვლები“-ს წინაპირობად მასში განხილული საკითხების გათვალისწინებით, განისაზღვროს ,,საინჟინრო მათემატიკა 1“ სასწავლო კურსი;
  - რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსების - ,,სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 1 და 2“, ,,მშენებლობის მარკეტინგი“, ,,სამშენებლო ეთიკა, სამართალი და

კონტრაქტები“ - სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად დამატებული იქნეს შესაბამისი დარგობრივი ლიტერატურა და საკანონმდებლო ნორმატიული აქტები;

- რეკომენდებულია ტექნიკურად გასწორდეს სასწავლო კურსში ,,სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები“ მითითებული სავალდებულო ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ ბ. კაუზა „სამშენებლო სამართალი“, თბილისი, 2010, საჭიროა სწორად იქნეს მითითებული ავტორი;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და შესყიდვების ორგანიზება“ დაკორექტირდეს, როგორც კურსის შინაარსი ასევე გამოყენებული ლიტერატურა, კერძოდ კურსში სათაურის შესაბამისად დასამატებელია შესყიდვების შესახებ საკითხები და შესაბამისი სასწავლო მასალები;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია პროგრამის შინაარსში მეტი ყურადღება დაეთმოს სამშენებლო მანქანების და მშენებლობის გეოლოგიური უზრუნველყოფის ზოგადი საკითხების სწავლებას;
  - სასურველია გააქტიურდეს მუშაობა საერთაშორისო მობილობის პროცესებში პროგრამის სტუდენტების ჩასართავად, შესაბამისად მეტი ყურადღება დაეთმოს დარგობრივი ინგლისურის სწავლების პროცესებს;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - პროგრამა პირველივე სემესტრში აძლევს სტუდენტებს საშუალებას დამატებით ინდივიდუალური საჭიროების შემთხვევაში გაიარონ ფაკულტეტის მიერ უფასოდ შეთავაზებული მათემატიკის მოსამზადებელი კურსი, რაც ხელს უწყობს მათ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების უკეთ ათვისებაში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წელის 13 დეკემბრის #281 გადაწყვეტილებით. საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული რეკომენდაციებისა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ძირეული ცვლილებები განხორციელდა 2018 წელს, კერძოდ:

- მოხდა პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მოდიფიცირება ადგილობრივი და უცხოური საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- დაიხვეწა პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები;
- განხორციელდა პროგრამის შინაარსის, შეფასების, სწავლების მეთოდების მორგება ახალ რეგულაციებთან;
- შეიცვალა ცალკეული სასწავლო კურსების სახელწოდებები და შინაარსი, დაკორექტირდა ზოგიერთ სასწავლო კურში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა,

განახლდა და შეივსო სასწავლო ლიტერატურა, დღემდე მიმდინარეობს ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის მოდიფიცირება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;

- ფაკულტეტს დაემატა სასწავლო ლაბორატორიები, რომლებიც გამოიყენება აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ შეინარჩუნონ და განივითარონ საგანმანათლებლო პროგრამით მიღებული ცოდნა და უპასუხონ დარგის უახლეს გამოწვევებს. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაში ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასთან - ,,შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა''. პროგრამა ეყრდნობა შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს და ითვალისწინებს, როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს ისე საერთაშორისო ტენდენციებსაც, რადგან პროგრამის მოდიფიცირების პროცესში გათვალისწინებულია, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები, მშენებლობის მენეჯმენტის სწავლების ამერიკული და ევროპული გამოცდილება. შესაბამისად ცხადია, რომ პროგრამას თავისი მიზნებით, მოსალოდნელი სწავლის შედეგებითა და უნარებით შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს როგორც დარგის, ისე მთლიანად საზოგადოების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის მენეჯმენტი“; ▪ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია; ▪ შრომის ბაზრის ანალიზი; ▪ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; ▪ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის

10 აპრილის №69/ნ ბრძანება ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“;

- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtu.ge/AboutStu/Mission.php;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის მენეჯმენტის“ სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და დეტალურად აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას რომელსაც შეიძენს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და დადგენილია მათი ლოგიკური ურთიერთკავშირი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება თითოეული

სწავლის შედეგის დაგეგმვა, შეფასება და ანალიზი, რაც თავის მხრივ ექვემდებარება პერიოდულ მონიტორინგს. პროგრამის შემადგენელ თითოეულ სასწავლო კურსში კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრულია მოსალოდნელი სწავლის შედეგები და გაწერილია მათი შეფასების მექანიზმები. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების გეგმა, სადაც აღწერილია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმები, რომლებიც თავის მხრივ ითვალისწინებს მშენებლობის დარგის სპეციფიკას.

დაწესებულებაში გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები. პროცესში ჩართულია როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისე შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, რექტორის ბრძანებით შექმნილი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია და შესაბამისი დეპარტამენტების აკადემიური პერსონალი. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განსაზღვრა. რისი დადასტურება შეიძლება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებების (№ 01-05-04/95, 02/04/2018; № 01-05-04/138, 12/06/2019 საფუძველზე პროგრამის მოდიფიცირების მიზნით განხორციელდა ძირეული ცვლილებები, მათ შორის დაკორექტირებული იქნა პროგრამის სწავლის შედეგები და მოყვანილი იქნა შესაბამისობასი პროგრამის მიზებთან, სტრუქტურასთან და არსებულ მოთხოვნებთან. გარდა ამისა, ფაკულტეტის ფარგლებში პერმანენტულად ხდება შრომის ბაზრის ტენდენციების, დამსაქმებლების მოთხოვნების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების მოთხოვნების დაზუსტება და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფა არსებულ მოთხოვნებთან. აღნიშნული ღონისძიებების საფუძველზე განხორციელდა პროგრამის სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ განახლდა და დაიხვეწა ცალკეულ სასწავლო კურსების შინაარსი, დაკორექტირდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდებები და კრედიტების მოცულობა. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების პროცესში გამოყენებული იქნა ასევე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები და პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები, კერძოდ შეფასების პროცესში ჩართული იყო კარლსრუეს გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტის და ბელოსტეკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესურა. გარდა ამისა, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის მენეჯმენტის“ აკადემიურმა პერსონალმა 2019 წლის თებერვალში გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრში. ამ ტრენინგის მასალა და სწავლების მეთოდოლგია ეფუძნება ამერიკის აიოვას უნივერსიტეტის „სწავლასა და სწავლებაში დახელოვნების ცენტრის“ (CETL) უახლეს ტრეინინგ პროგრამებს. კურსის დასრულების შემდგომ თითოეულმა მათგანმა მიიღო ამერიკულ-ქართული სერტიფიკატი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის მენეჯმენტი“;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

▪ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები; ▪ ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის სტუდენტებთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ისარგებლებს გარე ან შიდა მობილობით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის მენეჯმენტი“; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის სტუდენტებთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtu.ge;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრავს პროგრამის შედგენის/განვითარების მეთოდოლოგიას. შესაბამისად მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია აღნიშნული წესის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 240 კრედიტს და გათვლილია 8 სემესტრზე. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს: ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს - 60 კრედიტი; ძირითადი სპეციალობის შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს 170 კრედიტი და თავისუფალ კომპონენტს: არანაკლებ 10 კრედიტი. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, კერძოდ მასში გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში შესასწავლი კურსების სირთულე, მათი ლოგიკური ურთიერთკავშირი და მათი სწავლების თანამიმდევრობა. ლოგიკურია ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პროგრამაზე მოსახვედრად სავალდებულოა მათემატიკის ჩაბარება, რაც პირდაპირ კავშირშია პროგრამის ფარგლებში ასათვისებელი დისციპლინების სპეციფიკასთან. გარდა ამისა, პროგრამა პირველივე სემესტრში აძლევს სტუდენტებს საშუალებას დამატებით საჭიროების შემთხვევაში აიღონ ფაკულტეტის მიერ უფასოდ შეთავაზებული მათემატიკის მოსამზადებელი კურსი, რაც ხელს უწყობს მათ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების უკეთ ათვისებაში. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია უცხოური ანალოგიური პროგრამების შინაარსთან, მასში გათვალისწინებულია ასევე ადგილობრივი გამოცდილება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, პროგრამის სტრუქტურაში დაწესებულების მიერ ბოლოს შეტანილი ცვლილებებით გაძლიერებულია სწავლების პრაქტიკული კომპონენტები, სავალდებულო და თავისუფალი დისციპლინების მოდული, კერძოდ პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულს დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: კომუნიკაცია და კრიტიკული აზროვნება, უცხო ენა 3, შენობების და ნაგებობების საინჟინრო კომუნიკაციები, სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები, სამშენებლო ბიზნესის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, (ქართულ და ინგლისურ ენებზე). გარდა ამისა გაძლიერდა არჩევითი სასწავლო კურსების მოდული, კერძოდ დაემატა ახალი სასწავლო კურსები: მწვანე მშენებლობა, სასამართლო სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზის საფუძვლები, მშენებლობა და გარემო და ა.შ. თუმცა, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის

,,სტატისტიკის საფუძვლები“-ს წინაპირობად მასში განხილული საკითხების გათვალისწინებით, განისაზღვროს ,,საინჟინრო მათემატიკა 1“ სასწავლო კურსი, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს აღნიშნული კურსის შესწავლას. ამასთან, აღსანიშნავია რომ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციად განსაზღვრულია ,,მენეჯმენტის ბაკალავრი“, თუმცა პროგრამა თავისი სახელწოდებით, მიზნებით, უნარებით, კომპეტენციებითა და არსებული უცხოური ანალოგიების გათვალისწინებით შეესაბამება ,,მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“(0788), ბაკალავრის კვალიფიკაციას რაც ამავე სახელწოდებითვე არის მოცემული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში. შესაბამისად, რეკომენდებულია რომ დაწესებულებამ არსებული კვალიფიკაცია მოიყვანოს შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების მოქმედ კლასიფიკატორთან. ამასთან, აღსანიშნავია ისიც რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს აღნიშნული მდგომარეობა და როგორც ინტერვიუებისას აღინიშნა დაგეგმილი აქვთ მოქმედი რეგულაციის შესაბამისად მომდევნო წელს პროგრამაში ამჟამად მითითებული კვალიფიკაციის კორექტირება და მისი მორგება სწავლის სფეროების მოქმედ კლასიფიკატორთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის მენეჯმენტი“;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუები პროგრამის შემუშავებაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაწესებულებამ პროგრამაში მითითებული კვალიფიკაცია მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;
- რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ,,სტატისტიკის საფუძვლები“-ს წინაპირობად მასში განხილული საკითხების გათვალისწინებით, განისაზღვროს ,,საინჟინრო მათემატიკა 1“ სასწავლო კურსი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის შინაარსში მეტი ყურადღება დაეთმოს სამშენებლო მანქანების და მშენებლობის გეოლოგიური უზრუნველყოფის ზოგადი საკითხების სწავლებას;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამა პირველივე სემესტრში აძლევს სტუდენტებს საშუალებას დამატებით ინდივიდუალური საჭიროების შემთხვევაში აიღონ ფაკულტეტის მიერ უფასოდ შეთავაზებული მათემატიკის მოსამზადებელი კურსი, რაც ხელს უწყობს მათ პროგრამის

სავალდებულო სასწავლო კურსების უკეთ ათვისებაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიერ რანჟირებულ კვალიფიკაციის მეექვსე დონეს და შესაბამისად თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქით. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია შესაბამისი სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკა გათვალისწინებულია კურსის შიგნით სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების რაოდენობების განსაზღვრისას. ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სამშენებლო მენეჯმენტის დარგში არებულ სიახლეებზე და შესაბამის მიღწევებზე, რაც უზურნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით მოძიებული იქნა დარგის შესაბამისი უახლოესი უცხოური ლიტერატურა რაც ასახულია სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურის სახით. აკადემიურ პერსონალს მომზადებული აქვს სილაბუსის შესაბამისი სალექციო მასალა. დასრულებულია და გამოსაცემად მზადდება დარგის უახლოეს მიღწევების გათვალისწინებით შექმნილი დამხმარე სახელმძღვანელოების ჯგუფი. თუმცა მოცემულ ეტაპზე ზოგიერთი სასწავლო კურსის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული რეკომენდაციები: სავალდებულო სასწავლო კურსების - ,,სამშენებლო

პროექტების მენეჯმენტი 1 და 2“, ,,მშენებლობის მარკეტინგი“, ,,სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები“ - სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი ლიტერატურა მაგალითად: ,,პროექტების მენეჯმენტის საფუძვლები“, ,,მარკეტინგის საფუძვლები“, თუმცა ამავე დროს სასწავლო კურსები სპეციფიურია და შესაბამისად საჭიროა სპეციფიური დარგობრივი ლიტერატურის მითითება ქართულ ენაზე. ასევე სასწავლო კურსში ,,სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები“ საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტების მითითება და გასასწორებელია ტექნიკურად მითითებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია (ბ. კაუზა „სამშენებლო სამართალი“, თბილისი, 2010). გარდა ამისა, სასწავლო კურსში ,,მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და შესყიდვების ორგანიზება“ დასაკორექტირებელია როგორც კურსის შინაარსი ასევე გამოყენებული ლიტერატურა, კერძოდ კურსში სათაურის შესაბამისად დასამატებელია შესყიდვების შესახებ საკითხები და შესაბამისი სასწავლო მასალები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის მენეჯმენტი“; ▪ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუები პროგრამის შემუშავებაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსების - ,,სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 1 და 2“, ,,მშენებლობის მარკეტინგი“, ,,სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები“ - სილაბუსებში სავალდებულოდ ლიტერატურად დამატებული იქნეს შესაბამისი დარგობრივი ლიტერატურა და საკანონმდებლო ნორმატიული აქტები; ▪ რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და შესყიდვების ორგანიზება“ დაკორექტირდეს როგორც კურსის შინაარსი ასევე გამოყენებული ლიტერატურა, კერძოდ კურსში სათაურის შესაბამისად დასამატებელია შესყიდვების შესახებ საკითხები და შესაბამისი სასწავლო მასალები; ▪ რეკომენდებულია ტექნიკურად გასწორდეს სასწავლო კურსში ,,სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები“ მითითებული სავალდებულო ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ ბ. კაუზა „სამშენებლო სამართალი“, თბილისი, 2010, საჭიროა სწორად იქნეს მითითებული ავტორი;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატს საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის მენეჯმენტი“ უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა 5 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სხვადასხვა პროფილურ ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკის ჩატარებას უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად. ასევე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტსა და ა(ა) იპ-„ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია, საფეხურის შესაბამისად, სტუდენტების პრაქტიკული უნარების გამომუშავების უზრუნველყოფის მიზნით მათი ჩართულობა ასოციაციის წევრ კომპანიებში, სადაც შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ კომპანიის მიერ წამოწყებულ პროექტებში, რაც დადასტურდა სტუდენტებთან და ასოციაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას. გარდა ამისა პროგრამის სტუდენტები პროგრამის ფარგლებში ასრულებენ პრაქტიკული ხასიათის სხვადასხვა დავალებებს, მათ შორის ასრულებენ პრაქტიკული ხასიათის საშინაო დავალებებს, აანალიზებენ კონკრეტულ ქეისებს, ადგენენ მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებს, ასრულებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს და ა.შ. მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, პროფესიულ ღონისძიებებში, ხვდებიან დარგის პრაქტიკოს სპეციალისტებს და ა.შ. რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტებში პრაქტიკული და ტრასფერული უნარების გამომუშავებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის მენეჯმენტი“; ▪ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუები პროგრამის შემუშავებაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის სტუდენტებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის პროცესების ორგანიზებას შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება სწავლა - სწავლების მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, საკურსო სამუშაო/პროექტი, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, მაგალითად, დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (Case study) და ა.შ.. თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის მენეჯმენტი“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან;
- ინტერვიუები პროგრამის შემუშავებაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება პროგრამასა და სილაბუსში წინასწარ, ნათლად და გამჭვირვალედ გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად. მოქმედებს 100 ქულიანი შეფასების სისტემა, სილაბუსში მკაფიოდაა გაწერილი შუალედური და დასკვნითი შეფასებების შესაბამისი ქულების დაგროვების წინაპირობები. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს. სტუდენტები სილაბუსებს ეცნობიან ზეპირი ფორმით საგნის ხელმძღვანელისგან და ასევე ეგზავნებათ ელექტრონულად მეილზე. თითოეულ კომპონენტში მიღწეულ შედეგს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი აფიქსირებს ელექტრონულ უწყისში, რომელსაც აქვს შეტყობინების ფუნქცია, რომლის გამოყენებითაც სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის პროფესორთან უშუალოდ დაამყაროს კავშირი და მიიღოს რჩევები მისი ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ. ინტერვიუებით დადგინდა, რომ სტუდენტები დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტების განცხადებაზე რეაგირება ხდება სწრაფად. პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. გარდა ამისა, სტუდენტები

იცნობენ გასაჩივრების მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მის გამოყენებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ საბაკალავრო სწავლის დებულება; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ მართვის ელექტრონული სისტემა http://construction.gtu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**
   პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ, სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობისთვის გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები. გარდა ამისა, უნივერსიტეტი პირველკურსელებს სთავაზობს მათემატიკაში დამატებით უფასო კურსს, რაც სტუდენტებს ეხმარებათ პროგრამის უკეთ ათვისებასა და სირთულეების დაძლევაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამიდან არცერთი სტუდენტს არ უსარგებლია საერთაშორისო მობილობით, რის ერთ-ერთ მიზეზადაც სტუდენტები ასახელებენ დარგობრივი ინგლისურის არ ცოდნას. ადგილობრივ საერთაშორისო, პრატიკულ-სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა დასტურდება წრმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდისა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული საინფორმაციო დაფის მეშვეობით. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, ტარდება გამოკითხვები, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის მათი სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები, აღნიშნულ რესურსებს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ასევე აგზავნის მეილის საშუალებით. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ლიტერატურას ნამდვილად ფლობს უნივერსიტეტი, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი ხელმისაწვდომია მხოლოდ უნივერსიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები ზრუნავენ სტუდენტთა დასაქმებაზე და მათ კარიერულ განვითარებაზე, სტუდენტებს აქვთ წვდომა გამოცხადებულ ვაკანსიებზე. სტუდენტთა გარკვეული ნაწილი უკვე დასაქმებულია აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით. სტუდენტებს აქვთ საშუალება ჩაერთონ სპორტულ, კულტურულ და სხვა გასართობ აქტივობებში, რომლსაც სთავაზობს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ასევე, სტუდენტებს უტარდებათ კონსულტაციები პროფესორ-მასწავლებელთა საკონსულტაციო გრაფიკის შესაბამისად. ინტერვიუებისა და მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძლევზე დადგინდა, რომ სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და ლექტორების შეფასების მიზნით გამოკითხვებს და მიღებული შედეგების ანალიზს, რასაც იყენებს სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://gtu.ge/ ;
- პროგრამაში ჩართულ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გააქტიურდეს მუშაობა საერთაშორისო მობილობის პროცესებში პროგრამის სტუდენტების ჩასართავად, შესაბამისად მეტი ყურადღება დაეთმოს დარგობრივი ინგლისურის სწავლების პროცესებს;
- სასურველია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ლიტერატურა სრულად იქნეს განთავსებული პროგრამისთვის გათვალისწინებულ კორპუსის ბიბლიოთეკაში;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ შეფასდა საფეხურის დონიდან გამომდინარე

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამას ახორციელებს 43 აკადემიური აფილირებული პერსონალი (მათ შორის: 23 აფილირებული პროფესორი, 13 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 5 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, 2 აფილირებული ასისტენტი) და 6 მოწვეული პერსონალი (მათ შორის: 1 მოწვეული ასოცირებული პროფესორი, 2 მოწვეული უფროსი მასწავლებელი, და 3 მოწვეული მასწავლებელი). შესაბამისად, თანაფარდობა პროგრამის განმახორციელებელ აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალს შორის არის 43/6-ზე, რაც უზრუნველყოფს არა მარტო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას, არამედ მნიშვნელოვნად განაპირობებს პროგრამის მდგრადობასაც. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით. პროგრამას აქვს განმახორციელებელი პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვას მათზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია ასევე საკონსულტაციო და პროგრამის განვითარების პროცესში და ისინი აფილირებულები არიან უნივერსიტეტთან. პროგრამას ყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, საჭირო პროფესიული კავშირები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. იგი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებასა და განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელის ხედვა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო დარგობრივი პროგრამის განხორციელებისა და განვითარების სტანდარტებსა და ტრენდს. პროგრამას ემსახურება ასევე სტუ-ს სათანადო კვალიფიკაციის მქონე შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://gtu.ge/ ;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში რეგულარულად ხორციელდება სხვადასხვა საგანმანთლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიღწევების შეფასება. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემა, რომელიც ყოველწლიური შეფასებების იყენებს კრიტერიუმებს: აქტივობები აკადემიურ საქმიანობაში; აქტივობები მეცნიერების ხაზით და სტუ-სთვის მნიშვნელოვანი სხვა საქმიანობები. ამასთან, აკადემიურ საქმიანობაში ჩართული პირები პერმანეტულად ავსებენ ანკეტა-კითხვარებს, რითაც დაწესებულება ადგენს მათ საჭიროებებს, მათ შორის პროფესიული განვიტარების კუთხითაც. შესაბამისად, აკადემიური,

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება, მათ შორის აღნიშნულ ტრენინგებში ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი. სამშენებლო ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელ აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება: მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული, ქართულ და უცხოურ, ავტორიტეტული ინდექსაციის მქონე სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომებით. მაგალითად, ფაკულტეტის მხარდაჭერით პროგრამის პროფესორი იმყოფებოდა ჩინეთში, პეკინის სამოქალაქო ინჟინერიისა და არქიტექტურის უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციაზე. გარდა ამისა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წახალისების ღონისძიებები ხორციელდება როგორც ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, ასევე საყოველთაო წახალისების გზით, პრემირებისა თუ სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის გზით. პერსონალი საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებგვერდზე. სამშენებლო ფაკულტეტის პერსონალის პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის მენეჯმენტის“ განმახორციელებელი პერსონალიდან პროფესიული განვითარების მიზნით უმრავლესობას აქვს სხვადსხვა ტრენინგების სერთიფიკატი და საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი, რაც დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, როგორც პირადი საქმეებით, ისე მათთან ინტერვიუების პროცესით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან; ▪ ვებ გვერდი - „პროფესიული განვითარების ცენტრი“ (http://hpep.ge/ge/)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას სამშენებლო მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია სათანადო დონის ტექნიკურად გამართული ინფრასტრუქტურა. ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა არის განახლებული, აღჭურვილია მაღალი დონის სასწავლო-პროფესიული ლაბორატორიებით, კომპიუტერული კლასებითა და პროფესიული პროგრამებით. პროგრამის განხორციელებას ემსახურება ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რომელშიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა სამეცნიერო ბაზები. პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება; ▪ ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსური რესურსების გამოყოფა პროგრამისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული, რომლის მხოლოდ ნაწილს შეადგენს პროგრამის სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასური. შესაბამისად, პროგრამის ფინანსური მდგრადობა ფაკულტეტის საერთო შემოსავლით არის უზრუნველყოფილი, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება. პროგრამის ბიუჯეტში ასახულია პროგრამის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ხარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამშენებლო ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი; ▪ ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას გააჩნია ხარისხის შეფასების შიდა სისტემა, რომელიც წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის ნაწილს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ძირითადი საყრდენია. იგი განსაზღვრავს სტუ-ს ხელმძღვანელობის ხედვასა და ძირითად ღირებულებებს ხარისხთან მიმართებაში და მოიცავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების ძირითად პრინციპებს, მიმართულებებსა და ფუნქციებს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებაში საკუთარი ჩართულობის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელი და სწავლებაში მონაწილე სხვა პირები აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან. სწორედ ეს თანამშრომლობა უზრუნველყოფს ხარისხის მიღწევას და შენაჩუნებას უწყვეტი ციკლის “დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” მიხედვით. დაწესებულებაში პროგრამის შემუშავება ხდება სპეციალურად შექმნილი ჯგუფის მიერ, რომელშიც ჩართულია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, შესაბამისი დარგის წარმომადგენლები, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, მენეჯერის სამსახურის წარმომადგენელი და სხვ. გარდა ამისა, პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები. შესაბამისად, პროცესში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად

შემუშავებულია სპეციალური კითხვარები, რომელიც გამოიყენება როგორც მიმდინარე მონიტორიგნისთვის ისე გრძელვადიანი პროცესების დასაგეგმად. სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მოწვეიული პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვა აძლევს თითოეულ მონაწილეს დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის ხარისხსა და ხელმისაწვდომობის შესახებ. პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ, სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით აწარმოებს პროგრამით სწავლების შეფასებას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ჩატარების გზით. პარალელურად, სტუ-ს სწავლების დეპარტამენტთან ერთად, იგი პერიოდულად ამოწმებს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებული კრიტერიუმების/ინდიკატორების და კურსების სილაბუსებში დასახელებულ თვისებრივი მიზნების მიღწევის მდგომარეობას. ამ შემოწმებების შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სათანადო ანალიზის ჩატარებისთვის აწვდის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სასწავლო დეპარტამენტს. მაგალითად, ასეთი ანალიზის საფუძველზე განხორციელდა რიგი ცვლილებები პროგრამის სტრუქტურაში, მოხდა გარკვეული დისციპლინების დამატება, წინაპირობების კორექტირება, პროგრამის სტუდენტებისთვის მათემატიკასა და ფიზიკაში უფასო მოსამზადებელი კურსების შეთავაზება, მიმდინარეობს ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის ფუნდამენტური განახლება და ა.შ.

დაწესებულებაში მოქმედებს ასევე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს მუდმივად ადევნოს თვალი საკუთარი შეფასებების შედეგებს. პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში სტუდენტმა შეიძლება მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აგრეთვე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ან ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, სისტემა აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

გარდა ამისა, ფაკულტეტზე შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია, რომელიც ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას. გარდა ამისა, ხარისხის შიდა შეფასებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე სამშენებლო ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული „მრჩეველთა საბჭო“. საბჭოს წევრები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესში, ჩართულნი არიან მათი სწავლების მიმდინარეობის და შედეგების შეფასებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/Quality-Ensuring.php; ▪ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“; ▪ პროგრამის სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების კითხვარები და გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://gtu.ge/ ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმებად დაწესებულება იყენებს აკრედიტაციის მექანიზმებს და გარე შემფასებლების დასკვნებს. „მშენებლობის მენეჯმენტის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას 2014 წელს მიენიჭა აკრედიტაცია. შესაბამისად, წინა აკრედიტაციის შემდეგ პროგრამა მოდიფიცირებულია ფუნდამენტალურად, კერძოდ: მოხდა პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მოდიფიცირება ადგილობრივი და უცხოური საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით; დაიხვეწა პროგრამაში შემავალი სასწავლო

კურსები; განხორციელდა პროგრამის შინაარის, შეფასების, სწავლების მეთოდების მორგება ახალ რეგულაციებთან; შეიცვალა ცალკეული სასწავლო კურსების სახელწოდებები და შინაარსი და ა.შ. 2016 წელს სტუ-ში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის ანალიზის მეშვეობით შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციებით მათი განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული რეკომენდაციებიდან გამომდინარე სტუ-ში და მათ შორის სამშენებლო ფაკულტეტზე განხორციელებულ იქნა გარკვეული აქტივობები: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ჩამოყალიბდა საფაკულტეტო კომისიები; შემუშავდა შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტის და დამსაქმებლის, აგრეთვე, კურსადმთავრებულის კითხვარი, რომელიც მათ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალებას მისცემს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის განვითარების შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა კარლსრუეს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის არქიტექტურისა და სამოქალაქო ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ერვინ შვინგის მიერ, რომელმაც დადებითად შეაფასა აღნიშნული პროგრამა. გარდა ამისა, პროგრამა შეფასებული იქნა პოლონეთის ბელოსტეკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფ. ანატოლი გორინოვიჩის ხელმძღვანელობით, რომელთა შეფასებები ასევე დადებითია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის მენეჯმენტი“; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ პროგრამის გარე შემფასებლების დასკვნები; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://gtu.ge/ ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად იხილავს საგანმანათლებლო პროგრამებს და იძლევა რეკომენდაციებს მისი სრულყოფისათვის. მოცემულ შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება. შეფასების პროცესებში ასევე ჩართულები იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები. შეფასებები ხორციელდებოდა როგორც შეხვედრებზე, ასევე კითხვარების საშუალებითაც. პროგრამის შეფასებისთვის დამუშავდა მიღებული ინფორმაცია, გაანალიზებულ იქნა და განისაზღვრა მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რაც აისახა პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში. გარდა ამისა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების და აკრედიტაციის მზადების პროცესში ასევე ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი და სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია. კომისიის მიზანია ფაკულტეტის მიერ წარდგენილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასება. შეფასების პერიოდულობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამაში შეტანილი ყველა ცვლილება არის ეტაპობრივად გაანალიზებული, დამუშავებული და პროგრამაში მიზანმიმართულად ასახული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის მენეჯმენტი“; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://gtu.ge/ ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,მშენებლობის მენეჯმენტი“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

მერაბ ბარათაშვილი

ანა მოსემღვდლისშვილი